№ 31 თებერვალი 11, ოთხშაბათი 1887 თებერვალი 11, ოთხშაბათი **№ 31**

გაზეთი ღირს			
თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12 . .	10 —	6 . .	6 —
11 . .	9 50	5 . .	5 50
10 . .	8 75	4 . .	4 75
9 . .	8 —	3 . .	3 50
8 . .	7 25	2 . .	2 75
7 . .	6 50	1 . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდიელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი

ქართული თეატრი

დღეს 11 თებერვალს,

ბ. ალექსიევ-მესხიევის ბენეფისი

ბანკის (არწრუნისეულ) თეატრში ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

ჰამლეტი

ტრაგედია შექსპირისა 5 მოქმედებად, გადმოთარგმნილი ინგლისურიდამ თავ. ივ. მაჩაბლისაგან.

მოთამაშენი: ქქ. საფ.-აბაშიძისა, თამაროვისა, ლეონიძისა; ბბ. აბაშიძე, ალექსიევ-მესხიევი აშუღელი, ცაგარელი და სხვ.

დასაწყისი 7½ საათზე

ტფილისი, 10 თებერვალი

ევროპის პოლიტიკამ კიდევ ხელახლად იცვალა საგანი და გზა. ამ სამისა, თუ ოთხის კვირის წინად ევროპა, ჯერ შეშინებული ბისმარკის სიტყვებისაგან და მერე უფრო ელდა-ცემული გერმანულ გაზეთების მუქარისაგან, მარტო საფრანგეთსა და გერმანია-სღა შეჰყურებდა და ქამათა-ვითარების სვე-ბედსა ამ დიდთა სახელმწიფოთა შუღლისა და მტრობისაგან გამოელოდდა. ბალკანის ნახევარ კუნძულის საქმე თავისის გაუთავებელ ბოლგარიის საქმითურთ ამ მიზეზით ჩრდილში მიყენებულ იქმნა, თითქო ამ წყლულს არავითარი შიში არ მოსდევსო; ყველამ დაივიწყა ბოლგარია და თუ იტყოდნენ რასმე ხოლმე განტი-გუნტად, ისიც იმიტომ-რომ გული მ.ოიფხანონ. მთელის ევროპის თვალი კი საფრანგეთსა და გერმანიაზედ იყო მიქცეული და შიშით გაჩერებული. ეხლა, როგორც ეტყობა, ეს შუღლი და მტრობა ამ ორის დიდის სახელმწიფოსი ცოტა არ იყოს დასცხრა, განელდა. იგი საშინელი განსაცდელი, რომელიც ჰქლამოდა შეერყია მთელი ევროპა და დიდი და პატარა ერთმანეთისათვის დაეჯახებინა, ეხლა თითქო განქარდა, განიფანტა თუ სამუდამოდ არა, დროებით მაინცა. ამ სახით დღეს ევროპამ, დასავლეთზედ თითქმის გულ-დამშვიდებულმა, ისევ აღმოსავლეთისაკენ იბრუნა პირი და ბოლგარიის საქმეს დაუწყო ცქერა წინანდელებრ გულ-აშფოთებით. რა იყო და რა არის მიზეზი ამ თითქმის უეცარის ცვალებადობისა?

სხვამ რაც უნდა სთქვას და ჩვენ კი გავბედავთ და ვიტყვით, რომ ნასკვი ამ გამოცანისა ერთი პატარა სახელმწიფოა და იმ პატარა სახელმწიფოს ბელგია ჰქვიან. ამ სახელმწიფოზე ერთის მხრიდამ გერმანიაა ზედ მოდგომილი და მეორე მხრიდამ საფრანგეთი. არც ერთს და არც მეორეს, როგორც მოგეხსენებათ, მადა არ აკლიათ, რომ ამ ბედნიერ პაწია სახელმწიფოთი პირი ჩაიგემრიელონ, მით უფრო, რომ მადის გარდა ერთსაც და მეორესაც ისეთი ღონიერი კუჭები აქვთ, რომ ადვილად მოინელებენ იმ მგელთა შუა კრავად დაბადებულს ქვეყანას, რომელსაც ბელგია ჰქვიან დღეს. ეს კრავი ხომ არ არის გამზადებული შესაწირავად? თუმცა ეს თამამი ფიქრია, მაგრამ აქ შეუძლებელი არა არის-რა. განა დიდი საქმეა, თ. ბისმარკმა ყურში ჩაუწვეთოს საფრანგეთს: გაცო, რას ჩამცივებიხარ? აგერ ბელგია, ერთის მხრით შენკენ არის გამოწოლილი, ჩაიჭერ და „სუ“!… ჯერ ხანად ეგეც კაი მოსანელებელი ლუკმაა; ჯერ ეგ იგმარე და სხვა დროსა და ჟამთა ვითარებას მიანებე და მე კი ხელ-ფეხი გამიხსენ, მე სხვა საქმე მაქვს და „სხვაგან ჰქრის ჩემი გონებაო“. აქ საარაკო და დაუჯერებელი ბევრი არა არის-რა.

ესეა თუ არა, ეს დასავლეთის ციდამ ღრუბლების გადაყრა, ცის მოწმენდა, დაცხრომა და განელება რომ სახეში ვიქონიოთ და დღევანდელი ყოფა ბელგიისა ამ ამბავს შევუწონოთ, დიდს საგონებელში ჩავარდება კაცი. ინგლისსა აქვს ნაკისრი ბელგიის დამოუკიდებლობის მფარველობა. ჯერ წარსულ ომში, როცა საფრანგეთი და პრუსია ერთმანეთს დაეტაკნენ, მაშინ ინგლისმა თამამად გამოიდო თავი ბელგიისათვის და საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ თუ ან ერთის ლაშქარმა, ან მეორისამ გადალახა ბელგიის მიწა-წყალი, მეც მტრად მიგულოსო. ყველას ეგონა, რომ დღესაც ინგლისი ამ თავის დაქადებულს სიტყვას არ გასტეხს და დღესაც თავს გამოიდებს ბელგიისათვის, თუ ვინიცობაა საფრანგეთი და გერმანია ერთმანეთს ხელახლად შეეტაკნენ და ერთმა ან მეორემ ფეხი დაადგა ბელგიის მიწასაო. აი ეხლა ინგლისის სამინისტროს გაზეთი «Standard»-ი რას ამბობს: ბელგია თავის-თავის ანაბარად უნდა დარჩესო; ინგლისი თითსაც არ გაანძრევს მის დასახსნელად და დასაფარავადაო. რას ჰნიშნავს ეს ნათქვამი სამინისტროს გაზეთისა? ნუ თუ მას, რომ ინგლისმა საჭიროდ დაინახა ბელგია, რომლისათვის უწინ საომრადაც-კი თავს იმეტებდა იგივ ინგლისი, უფრო სხვა დიდს ინტერესს შესწიროს!

თვითონ ბელგიაც კი ჰგრძნობს, რომ თავის საკუთარს ბედზეა თავმინებებული. იგი დიდის თავ-გაწირვით ემზადება თავის-თავის დასახსნელად და გადასარჩენად. იგი ჰცდილობს 130,000 კაცამდე აიყვანოს თვისი საომრად გასასვლელი მხედრობა და მრავალის ციხე-სიმაგრეებით შემოიზღუდოს გარშემო. რასაკვირველია, შესაძლოა გაცმა ყოველივე ეს მეტის-მეტს სიფრთხილესაც მიაწეროს ბელგიის მხრით: როცა ორი დიდი მეზობელი აქედ-იქიდამ ერთმანეთს ქეჩოში წასწვდება, მაშინ შუაში მდგომი მესამეც ფეხზედ უნდა იდგეს მზად ყოველის შემთხვევისათვის, თორემ ან ერთი გაჰქელავს, ან მეორე. მაგრამ როცა იმისთანა პაწია სახელმწიფო, როგორც ბელგიაა, 130,000 კაცს საომრად ამზადებს და არა ხარჯს არ ერიდება, რომ სიმაგრეების სალტე გარს შემოირტყას—ეგ წელებზედ ფეხის დადგმაა, რომელიც მარტო საშინელმა განწირულებამ იცის და საშინელის განსაცდელის მოლოდინმა. ამიტომაც ვგონებთ, რომ ჩვენი ეჭვიც უსაბუთო არ არის, თუ ნამეტნავად იმასაც გავიხსენებთ, რომ ამ ბოლოს დროს შესანიშნავად მოურბილდა და მოუტკბილდა საფრანგეთსა ევროპის იუპიტერი თავადი ბისმარკი და საფრანგეთმა ხომ თავდაპირველიდგანვე ყური მოუყრუა ყოველს მუქარას და ქადილსა.

ფელეტონი

სამეცნიერო ამბები

არ ახალია—ძველია.—დედალოსის და იკაროსის ამბავი.—ძველთა ნატრა ახალთაგან ახდენილი.—ორნი ძმანი.—„მონგოლფიერი“ და „ჰაეროსტატი“.—გამბეტა ჰაერში.—ვინ არის კრებსი?—მეცნიერების მსხვერპლნი.—ორი დრამა ჰაერში.—საშინელი შურის-გება.—ჰაერში საშინელი ბრძოლა სიცოცხლისათვის.

ხმელეთი ხომ ხელთ უპყრავს ადამიანს, დედა-მიწაზე ხომ დადიოდა და დადიოდა. მერე წყალზე სიარულიც მოიწადინა. ესეც ჩქარა ისწავლა, და აი დღეს ზღვებზე ისე თავისუფლად დაიარება ადამიანი, როგორც ხმელეთზე. ადამიანის ცნობის მოყვარე, დაუდგრომელმა ბუნებამ ესეც არ იკმარა. სთქვა თავის გუნებაში: ეს მიწა და წყალი ხომ ყურ-მოჭრილ ყმად გავიხადე, მოდი ახლა ჰაერშიაც ავფრინდები, იქ სიარულსაცა ვსინჯავ. აგერ ფრინველები როგორ მხიარულად, თავისუფლად დანავარდობენ ცის სივრცეში,—რატომ მე კი ვერ შევძლებ ამასაო.

ეს დღევანდელი და გუშინდელი ამბავი კი არ არის; ესეთი სურვილი ძველის-ძველს დროში მოჰსვლია ადამიანს გულში. აი მაგალითად, ძველის დროის ბერძნები რა არაკს მოგვითხრობენ.

სცხოვრებდა კრიტოსის კუნძულზე ერთი გამოჩენილი და შეძლებული მხატვარი, სახელად დედალოსი. დედალოსს ჰყავნდა შვილი იკაროსი. ერთხელ დედალოსს აზრად მოუვიდა კრიტოსიდგან აფრენილიყო, ზღვა გადაევლო და საბერძნეთში მისულიყო. დედალოსმა ფრთები გააკეთა ფრინველის ფრთების მსგავსი, მოიბა თითონ, თავის შვილს იკაროსსაც მოაბა; წმინდა სანთლით დაიმაგრეს ფრთები მამამ და შვილმა და აფრინდნენ ჰაერში. მამამ აქვე გააფრთხილა შვილი: ძალიან მაღლა ნუ აჰფრინდებიო. შვილმა მაინც მამის დარიგებას არ დაუჯერა,—აფრინდა ისე მაღლა, რომ მზესთან ახლოს მივიდა. მზის სიცხოველემ წმინდა სანთელი გაალხო, ფრთები მოსცვივდა, საწყალი იკაროსი ზღვაში ჩავარდა და დაირჩო.

მართალია, ეს ამბავი ზღაპარს უფრო ჰგავს, ვიდრე მართალს. მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ ძველის დროის ბერძნებს საზოგადოდ ძრიელ უყვარდათ, ყველა ამბის ამ გვარ პოეტურ ზღაპრად გადაკეთება. ამას რომ თავი დავანებოთ, მართალი ამ ზღაპარში მხოლოდ ის არის, რომ ძველის დროიდამვე ადამიანს სურვილი ჰქონია ჰაერში სიარულისა და პირველად ფრინველებისთვის მიუბაძავს. მაგრამ, ეტყობა, იკაროსის თავგარდასავალი ბევრსა ჰხვდა წილად, და ადამიანმა თავი დაანება ამ გვარ ცდას, იმედი გადიწყვიტა ფრინველებს შესცილებოდა. თუმცა ადამიანს წყურვილი დაჰრჩომია გულში, რომ ასე თუ ისე ჰაერში ეიაროვო.

***

გაიარა კარგმა ხანმა, გავიდა რამდენიმე საუკუნე და ჰაერში სიარულის თაობაზე ხმა აღარ ისმოდა, თითქოს ადამიანმა იმედი გარდიწყვიტა, რომ ჰაერთან ვერას გაავაწყობო. და აი მხოლოდ წარსულ საუკუნეში საფრანგეთში აღმოჩნდა ორი კაცი, ორნი ძმანი, გვარად მონგოლფიერები, და სცადეს ეს დავიწყებული საქმე. ხოლო მონგოლფიერებმა ისევ ფრინველებს კი არ მიჰბაძეს, დედალოსისავით ფრთები კი არ შეისხეს,—არა, ამათ სულ სხვა ღონის ძიებას მოჰკიდეს ხელი.

მონგოლფიერებმა ყურადღება მიაქციეს ჰაერის ერთ-გვარ თვისებას, რომელიც სხვებმაც კარგად იცოდნენ. აი ეს რა თვისებაა: გამთბარი ჰაერი უფრო მსუბუქია, ვიდრე ცივი. ყველა ჰაერზე მსუბუქი საგანი ზევით იწევს, ჰაერში ადვილად ადის მაღლა. ამიტომ გამთბარი ჰაერიც მაღლა მიდის და ცივი ჰაერი თბილს, როგორც წყალი ხეს, იტივტივებს. მონგოლფიერებმა იფიქრეს: რომ გავაკეთოთ ისეთი ბურთი, რომელიც შიგნით ცარიელი იყოს და გამთბარის ჰაერით გავავსოთ, ბურთი ხომ ზევით უნდა ატივტივდეს, ჰაერის სივრცეში ავიდეს და იაროსო. მონგოლფიერებმა სცადეს: გააკეთეს ქაღალდის ბურთი, რომლის შუა-გული ცარიელი იყო. ბურთს ქვემოდ ღია პირი ჰქონდა. პირში ბურთს ჯვარედინად მავთული გაუკეთეს. მავთულზე დამაგრებული იყო სპირტში ამოვლებული ბამბა. ბამბას ცეცხლი მოუკიდეს, ცეცხლმა ბურთის შუა-გულში მომწყვდეული ჰაერი გაათბო, ჰაერი დამსუბუქდა, ბურთი გადაიხარა, შეინძრა, შეტოკდა, გასწია მაღლა და გაჰქრა თვალიდამ შორს ცის სივრცეში.

გამართლდა მონგოლფიერების აზრი. მონგოლიფერების ცდამ უქმად არ ჩაიარა. დაიწყეს ჰაერში სიარული, ფრინვა მონგოლფიერების ბურთებმა. ამ გვარ ჰაერში მოსიარულე ბურთებს „მონგოლფიერები“ დაარქვეს. დღესაც იმ გვარ ჰაერში მოსიარულე ბურთებს, რომელნიც გამთბარ ჰაერით არიან გავსებულნი, „მონგოლფიერებს“ უწოდებენ.

მონგოლფიერებმა ამ სახით უკვდავი სახელი დასტოვეს ქვეყანაზე, და ღირსნიც არიან ამ გვარის პატივისა. მართალია, მონგოლფიერებს თავიანთი ბურთები არაფერს საქმეში არ გამოუყენებიათ, „მონგოლფიერებს“ დღესაც და იმ დროსაც მარტო გასართობად, სათამაშოდ აკეთებდნენ, მაგრამ ისიც დიდი საქმე იყო, რომ მონგოლფიერებმა პირველებმა მიაგნეს ღონეს ჰაერში ასვლისას. საქმე პირველი ნაბიჯია, თორემ მერე კი კაცი ადვილად გაიკვლევს გზას და შორსაც წავა.

***

ასეა ამ საქმის ამბავიც. ადამიანის დაუცხრომელი, გამომძიებელი გონება მარტო „მონგოლფიერებზე“ როდი შესდგა. აი ჯერ დღესაც სათამაშო „მონგოლფიერების“ მაგიერ სულ სხვა გვარად არის მოხერხებული ჰაერში მოსიარულე ბურთი და ბევრს სიქმეშიაც არის გამოსაყენი. დღევანდელი ჰაერში მოსიარულე ბურთი, ანუ ჰაეროსტატი, „მონგოლფიერებს“ აღარა ჰგავს. ჰაეროსტატისთვის გამთბარ ჰაერის მაგიერ სხვა ნივთიერებას ხმარობენ, რომელიც გაცილებით უფრო მსუბუქია. ეს ნივთიერება ჰაერის მაგვარია და «წყალ მბადს» (ВОДОРОДЪ) ეძახიან. თვით ჰაეროსტატსაც დღეს ასე ამზადებენ: აკეთებენ დიდს, მაგარ და გამძლე აბრეშუმის ბურთს. ბურთს წყალ-მბადით ჰბერავენ. ბურთს ერთ მხარეზე ხუფი აქვს გაკეთებული, ხუფზე გძელი თოკია მობმული. ბურთს ქვემოდგან დიდი ნავის მაგვარი კალათა აქვს თოკებით მიბმული. ამ კალათაში სხდებიან კაცები და ბურთს მაღლა ჰაერში აჰყავს. თუ ვინიცობაა, ბურთი ძალიან მაღლა წავიდა და ცოტა ძირს ჩამოშვება უნდათ, წაავლებენ ხელს იმ თოკს, რომელიც ხუფსა აქვს მობმული, ხუფი აიხდება, ბურთიდამ წყალ-მბადი გამოვა, ცოტად დაისუსტდება ჰაეროსტატი, ცოტათი დამძიმდება და ძირს დაიწევს.

ბევრს ეცოდინება, რა სამსახური გაუწია ფრანგებს ამ გვარმა ჰაეროსტატმა 1870 წელში, როდესაც საფრანგეთისა და გერმანიის შორის ომი ასტყდა. როგორც ვიცით, გერმანელებმა ფრანგები სრულიად დაამარცხეს, თვით საფრანგეთის დედა-ქალაქს, პარიჟს, მიადგნენ, გარშემო ჯარები შემოარტყეს და სრულიად შეჰკრეს, ასე რომ არავის არც შესვლა და არც გამოსვლა არ შეეძლოთ. აი მაშინ ჰაეროსტატმა დიდი სამსახური გაუწია დამწყვდეულ პარიჟელებს. მთელი ქვეყანა გაჰკვირდა და გერმანელებმა ხომ პირი დააღეს, როცა გამოჩენილი გამბეტა ჰაეროსტატით პარიჟიდან ამოფრინდა, გერმანიის ჯარებს თავზე გადაუარა, სამშვიდობოში გავიდა და იქ დაეშვა ძირს.

***

ამის შემდეგ უფრო დიდი ყურადღება მიაქციეს ჰაეროსტატებს. ერთ-

ახალი ამბავი

⁂ ტფილისს ესტუმრა ამ ჟამად ვინმე სლავიანსკი, ტომით ჩეხი, რომელსაც გაუმართავს კიდეც კუკიის ხიდზედ პანარამა. პანარამაში საჩვენებლად იქნება ჩატანებული ზოგიერთის საუკეთესო მხატვარის სურათებიც. სხვათა შორის კავკასიის მხატვრების სურათებიც იქნება პანარამაში საჩვენებლადაო. ჩვენ შევიტყეთ რომ მარტო ბაშინჯაღიანცის სურათებიდგან ხუთი სურათი იქმნება პანარამაშიო.

⁂ დღეს, როგორც წინადაც შევატყობინეთ მკითხველებს, ქართულს თეატრში დანიშნულია ბენეფისი არტისტის ვ. ალექსი-მესხიშვილისა. წარმოდგენილი იქმნება «ჰამლეტი», ტრაგედია შექსპირისა. უნდა ვიფიქროთ, რომ საზოგადოება ბლომად დაესწრობა ამ წარმოდგენას და იქნება სათეატრო დარბაზში ალაგიც აღარ იყოს, რადგან გუშინვე დიდ-ძალი ბილეთები იყო გაყიდული.

⁂ უამინდობამ, თოვლმა და წვიმამ ძალიან აამღვრია მტკვარი ტფილისში. წვიმამ ჩარეცხა ტფილისის უწმინდურობა მტკვარში და დღეს მტკვრის ნაპირებზე ისეთი წყალია, რომ კაცს არ დაელევა. ჩვენი მეთულუხეები-კი ამ ნაპირებიდგან იღებენ წყალს და სწამლავენ ქალაქის მცხოვრებლებსა. ყოველთვის, როცა-კი წვიმა და ავდარია ქალაქში, ასეთს გაჭირვებაში ჩავარდება ხოლმე ტფილისის მცხოვრებელი. სასურველია, რომ მეთულუხეებმა ყურადღება მიაქციონ საქალაქო გამგეობის განკარგულებას, რომლის ძალითაც მეთულუხენი მოვალენი არიან, იქვე ნაპირას არ აავსონ ხოლმე თულუხი.

⁂ დიდ-ძალი საზოგადოება დასწრებია ჩითოხანთა ბალს ტფილისის კრუჟოკში 9 თებერვალს. კრუჟოკის დიდს დარბაზში ტევა აღარ იყო, იმოდენა ხალხი შეიკრიბაო. ამბობენ, რომ ბევრმა ბილეთიც ვეღარ იშოვა და ხელ-ცარიელი გაბრუნდა უკანაო. ბევრი ქალი იყო ისეთი, რომ ძვირფასის ტანისამოსით მოვიდა ბალში და ამის გამო ხუთს მანათს მეტს იხდიდა თურმე ბილეთში.

⁂ ტფილისის საქალაქო გამგეობა ნაკლებად აქცევს ყურადღებას წყლის გასაყვანად ქუჩებში ამოთხრილს თხრილებს, რომელნიც საკმაოდ ღრმად არიან ნათხარნი. თხრილები თავ-ღია რჩება ხოლმე ღამ ღამობით და არავითარი ნიშანი არ ატყობინებს გამვლელს-გამომვლელს, მიწის გროვას გარდა, რომ ფრთხილად გაიაროს. ამას წინად ერთს მეფაიტონეს ცხენი ჩავარდნია ამ გვარს თხრილში. მეფაიტონეს ვეღარა ღონის ძიებით ვეღარ ამოუყვანია დალილ-დაქანცული და თხრილში ჩაჩეხილი ცხენი და საცოდავი პირუტყვი იქვე მომკვდარა.

⁂ ვიღაცა ვიშნიაკოვს განუზრახავს კავკასიაში ჩაის მოსაყვანად ჩაის ბუჩქის ბაღები გააშენოსო. ამ ბაღების გასაშენებლადა და ჩაის მოსამზადებლად ჩაის მცენარეცა და ბუჩქებიც ჩინეთიდამა აქვთ დაბარებულიო.

⁂ რაჭიდამ გვწერენ, რომ ჩვენკენ იმ გზის პირას, რომელსაც ლეჩხუმის გზას ეძახიან და რომელიც რაჭაზე მიდის ქუთაისისკენ, ერთი მთა არის. ამ მთაზე ამბობენ, რომ ცეცხლის-მფრქვეველი მთა არისო. აქამდე ამ მთას არაფერი ეტყობოდა, ამ უკანასკნელს დროს-კი მთის წვერზე ბოლი სჩანს. ვინ იცის, იქნება ამ მთამ ცეცხლიც ამოაფრქვიოსო.

⁂ გუშინ რუსეთის ფოსტა არ მოვიდა. ეტყობა, მთაში გზები გაფუჭებულა უამინდობის გამო.

⁂ გაზ. „С.-Пет. Вѣд.“-ი ამბობს, რომ ამის შემდეგ სხვა ნაირ საფოსტო ყუთების შემოღებას აპირობენო. ყუთები ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ თითონ ყუთმავე დანიშნოს, რამდენი წერილი და წიგნი ჩაუგდიათ შიგ მცხოვრებლებს. ამ სახით, ადვილი იქნება, რომ საფოსტო მართველობამ თვალ-ყური ადევნოს იმ ფოსტალიონს, რომელიც წერილებს შეჰკრებავს ხოლმე ამ ყუთებიდამაო.

⁂ გაზ. „Рус. Курьер.“-ი ამბობს, რომ მთავრობას განზრახვა აქვს მოუმატოს ბაჟი იმ თუთუნსა და თამბაქოზე, რომელიც სამზღვარ-გარეთიდამ იქნება მოტანილიო. ამის გამო კავკასიის მეთამბაქოეთა და თუთუნის მწარმოებელთ თხოვნა წარუდგენიათ მთავრობისათვის და შუამდგომელობენ, რომ ეს ბაჟი არ შემოიღოს, რადგან ადგილობრივს თუთუნს თუ სამზღვარ-გარეთისაც არ გაერია, ისე ფასი არა აქვსო. ბაჟის მომატება შეამცირებს და შეჰხუთავს ძალიან თუთუნის წარმოებას კავკასიაშიო.

⁂ ამ დღეებში ტფილისში გზად გაუვლია ინგლისის მაიორს ბ-ნს ვერანს, რომელიც სპარსეთს მიდიოდაო, ამბობს გაზ. «ნოვ. ობოზ.» ვერანს საყურადღებო წერილები მიაქვს სპარსეთის შაჰთან და ინგლისის ელჩთან თეირანსაო.

⁂ ესევე გაზეთი ამბობს, რომ ამ ჟამად კავკასიაში ბლომად ჰყიდულობენ კამეჩის ტყავებს უცხოელნი და სამზღვარ-გარედ ჰგზავნიანო.

⁂ 5 თებერვალს, ელისავეტინის ქუჩაზედ, დურგლის ზეტცერის ქარგლების ივანე ტერ-იზრაელოვისა და პარამოზ ბაღდაიანცის სახლიდგან ამათს ამხანაგს ნიკოლოოზ ქავთარაძეს მოუპარავს სხვა-და-სხვა ტანისამოსი 104 მანათისა. ქურდი დაუპატიმრებია მე-10 განყოფილების პოლიციელს შახნაზაროვს და ნაქურდალიც უპოვნიათ.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ქ. ქუთაისი, 3 თებერვალს. „ივერიის“ მე-20 ნომერში დაბეჭდილია წერილი ქ. ოზურგეთიდგან ზამთარისა და ფოსტის გზების შესახებ. დიდი ხანია რაც არაფერი ამბავი ქვეყნიერობისა არა ვიცით რა უგზოობისა და უფოსტობის გამოო და სხვა-და-სხვანი. შენიშვნის დამწერს გურიის გზების და მეტადრე ნატანების გზის გარემოება არა სცოდნია კარგად, როგორც ეტყობა, თორემ უფრო გარკვევით მოიხსენებდა ჩვენს გაჭირვებასა.

ბათუმის რკინის გზის სადგური, „სტანცია“ ნატანები დაარსდა 1883 წელს, მაისში. მაშინვე მთავრობამ გადასწყვიტა, რომ ხსენებულის სადგურიდამ ოზურგეთის ქალაქამდე გაკეთებულიყო გზა-ტკეცილი, მანძილი სულ 18 ვერსტია ამ 18 ვერსს გზაში გახლდათ 14 ვერსზე მეტი ძველი გზა. ოზურგეთიდგან დაბა შეკვეთილამდე, მოკლედ რომ ვსთქვათ 14 ვერსს გზას უნდოდა შეკეთება, რადგან დასვენებული იყო და დანარჩენ 4 ვერსის მანძილზე-კი სრულიად უნდა ახალი გზა გაკეთებულიყო. ამ ნაირი გზა-ტკეცილის გასაკეთებლად გახლდათ გადადებული მთავრობისაგან 40,000 მანათი 1883 წელს. იმ დროდგან დაწყობილი სულ კეთდება ეს გზა და ბოლო არ მიეცა გაკეთებას, ისე გაკეთებას, როგორც წესი და რიგი მოითხოვს. გზა გაკეთებით-კი გაკეთდა, მაგრამ ისეთი-კი ვერა, როგორისაც იმედი გვქონდა: მდინარენი მოიმატებენ, ეღარ წაბრძანდები სადგურიდგან ოზურგეთს, რადგანაც ხიდები არ იახლავსთ, სადაც საჭიროა; წვიმები გქონდა კიდევ, ეგ უარესი, ტალახს და ათას უბედურებას ვეღარ გაატანთ ცოცხალი. თუ ვიტყვით, რომ ფაეტონები დადიან ამ გზაზე, ეგეც ვერაფერი საბუთია ამ გზის ვარგისობისა. ვაი იმისთანა სიარულსაც. იმისთანა დღე არ იქნება, რომ არ გაიგონოთ: ამა და ამ ადგილას ბოგირი ჩავარდა, ცხენები კინაღამ დაიხოცაო, ამა და ამ ადგილას ფაეტონი გადაბრუნდა გზის სივიწროვის გამოო. ეს არის მიზეზი, რომ ფაეტონს უჭირდება ამ გზაზე სიარული, ბევრს იღებს მუშტრისაგან და მაინც იმადლება, მანათის ადგილს რომ ორი მანათი მისცე.

ამ გზის შეკეთებისათვის ოზურგეთის მაზრის ადმინისტრაციამ განკარგულება მოახდინა. ჯერ არ ვიცით, რა ბოლო მიეცემა ამ განკარგულებას.

იქნება იკითხოს ვინმემ, მაშ ამ გზის დაარსებამდე საიდგან მოსდიოდა ოზურგეთს ფოსტაო. ფოსტის გზა სხვა გახლავსთ. სამტრედიიდგან იწყება და მიდის ოზურგეთისკენ, მაგრამ სიგრძე 53 ვერსი აქვს. აი ამ გზით მიდის ფოსტა ოზურგეთს. მაგრამ ის გზაც შეუკეთებელია და უყურადღებოდ არის დატოვებული, რადგანაც ყოველ დღე ელოდებიან ნატანების გზის შესრულებასა და ფოსტის აქედგან მიღებ-გაგზავნას. არ იზამენ ურიგოს ოზურგეთის მკვიდრნი, რომ იზრუნებდნენ ყველა აქ მოხსენებულ საქმის გამო.

დროებით ქუთაისელი გურული

გულად მოჰკიდეს ხელი ამ საქმეს და დღითი-დღე ეს საქმე სულ მეტსა და მეტს წარმატებაში შედის. სულ ორი წელიწადი არ არის მას აქეთ, რაც მთელი ქვეყანა გააკვირვა და აალაპარაკა ერთმა საფრანგეთის აფიცერმა, გვარად კრებსმა. კრებსმა ისეთი ჰაეროსტატი ააგო, რომ ჰაერში თავის ნებაზე ატარებდა, საითკენაც უნდოდა, იქით მიატრიალებდა, საათში 20 ვერსზე მეტს გადიოდა. ბურთს კალათის მაგიერ მთელი ვაგონი ჰქონდა მობმული. ვაგონი შუაში გამობერილი იყო, თავი და ბოლო-კი გაწვრილებული ჰქონდა,—ერთის სიტყვით, სახით შუშა კიტრს მოგაგონებდათ. ვაგონი ელექტრონის შემწეობით მოძრაობდა ჰაერში, — ერთის სიტყვით, როგორც ეხლა ბევრს რკინის გზებზე ვაგონები ელექტრონით, ან ორთქლისმატარებელით დარბიან.

მხოლოდ ერთმა გარემოებამ შეუშალა ხელი კრებსსა. ადამიანს, როგორც ზღვაზე, ისე ჰაერში ერთი დაუდგრომელი მტერი ჰყავს, და ამ მტრისთვის დღემდინ ვერა მოუხერხებია-რა. ეს მტერი ქარია, რომელიც ზღვებში ხომალდებს და გემებს შეუბრალებლად ჰლუპავს და ჰაერში ჰაეროსტატებს ამსხვრევს. ეჭვი არ არის, რომ ამ მტერსაც მალე დასძლევს ადამიანი: ადამიანის მძლავრ ჭკუას რა გაუმაგრდება!

⁂

მე მოკლედ გიამბეთ ჰაეროსტატის ამბავი, მონგოლფიერებიდამ პირ-დაპირ კრებსზე გადმოვხტი. ასე მალე მხოლოდ ზღაპრებში თავდება ამბავი, საქმე კი ასე ადვილად არა კეთდება. მას შემდეგ, რაც მონგოლფიერებმა პირველად მოიგონეს ჰაერში მავალი ბურთი, ერთს საუკუნეზე მეტმა გაიარა. ამ ხნის განმავლობაში ბევრსა წვალობდნენ ამ საქმეზე, ბევრმა სიცოცხლეც ზედ შეალია, ჰაეროსტატმა ბევრი მსხვერპლი შეიწირა, ბევრი უდროვოდ გამოასალმა ქვეყანას. ღირს ამაზედ დაწვრილებით მოლაპარაკება. ღირს ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჰაეროსტატის საქმე ცხადად დაგვანახვებს, რა სიძნელე თანა-უძღვის ადამიანს დიდს რაიმე საქმეში, და მეორე იმიტომ, რომ გვცოდინებათ იმ კაცების სახელი, რომელნიც თავგანწირულად მუშაობდნენ და თავს არა ჰზოგავდნენ საქვეყნო საქმისათვის.

მარად-სახსოვარ მონგოლფიერების შემდეგ, ჰაერში სიარულის საქმეს შეუდგა იტალიელი ზამბეკარი, მაგრამ საცოდავი ზამბეკარი მეცნიერების მსხვერპლად შეიქმნა; ზამბეკარი ძალიან გამბედავი და უშიშარი იყო, და ამ გამბედაობამ თანაც გადიტანა. ზამბეკარმა განიზრახა მონგოლფიერით ადრიატიკის ზღვა გადაევლო. ბევრს აღარ დაფიქრდა და უშიშრად შეუდგა გზას, მაგრამ „მონგოლფიერმა“ უღალატა, ზღვაში ჩავარდა და საწყალი ზამბეკარი ზღვამ შეიწირა.

ესეთი უბედურება გადახდა თავს 1806 წელსა მეორე ჰაერში მოგზაურს, გვარად მომსენს. მომსენმა ჰაეროსტატს კალათის მაგიერ პტყელი ფიცარი მიაბა. როდესაც ჰაეროსტატი ძრიელ მაღლა ავიდა და ღრუბლებში დაიმალა, ფიცარი ერთბაშად გადატრიალდა და საწყალი მომსენი ძირს წამოვიდა საშინელის სიმაღლიდამ. საბრალო ქვიშაზე დაეცა და ისე ძრიელ დაეცა, რომ ერთ არშინზე მიწაში ჩაიფლა. ამ სახით უბედურმა თავისი საფლავი თითონვე გაითხარა.

ფრანგი დემამპი სამრეკლოზე, დაეცა და საშინლად დაიმსხვრა. ჰაერში მოგზაური გვარად ოლივარი „მონგოლფიერით“ ძალიან მაღლა ავიდა. აქ „მონგოლფიერს“ ცეცხლი მოეკიდა და საბრალო ოლივარი დამწვარი და დაბუგული ჩამოვარდა ძირსა. არბანი ისე დაიღუპა, რომ იმის ხსენებაც გაჰქრა და ვეღარას გზით ვერ შეიტყეს, რა დაემართა და სად დაიკარგა.

კიდევ ბევრი ამისთანა უბედურება დატრიალებულა ჰაერში, მაგრამ ჩვენ ყველას არ ჩამოთვლით აქა. ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა. ნათქვამიც საკმაო. ჩვენ მოვიხსენიებთ კიდევ ორ შემაძრწუნებელ ამბავს, ორ საშინელ დრამას, რომელიც ჰაეროსტატებზე მოხდა.

⁂

ერთი უბედურება გადახდა ერთს ახალ-გაზდა ქალს. ეს საწყალი ქალი მაღლა, ძალიან მაღლა, მარტოდ-მარტო, ჰაეროსტატის კალათაში გამოეთხოვა წუთი-სოფელს. რასაკვირველია, ეს ქალი თავის ნებით არ ასულა აქ, და არც მეცნიერების სიყვარულს გაუტაცნია ესე შორს და მაღლა. საქმე სულ სხვა ნაირად იყო.

საფრანგეთში სცხოვრებდა ერთი ახალ-გაზდა ქალი, გვარად ვერდიე. ვერდიე ერთსა და იმავე დროს ორს ძმას შეუყვარდათ. ქალს უფრო უმცროსი ძმა მოსწონდა და თავისი გულიც ამას დაუთმო. უფროსმა ძმამ ეს ძრიელ იწყინა და გადასწყვიტა ჯავრის ამოყრა. მერე რა საშინლად ამოიყარა ჯავრი!

ვერდიე ჯვარის დასაწერად მოემზადა, ის-ის იყო გვირგვინის კაბით გამოვიდა ბედნიერი ქალი თავის სახლიდამ ეკკლესიაში წასასვლელად. ამ დროს უცბად ოთხი ვიღაც შავებში ჩაცმული, პირ-ჩამოფარებული უცნობი კაცი ეცა, მოიტაცეს საგვირგვინოდ მორთული ქალი და სად წაიყვანეს, ქალს ვეღარაფერი გაუგია, რადგან შიშისაგან გული წაუვიდა. როდესაც ქალი გონს მოვიდა, უბედურმა და თავ-ზარ დაცემულმა დაინახა, რომ რაღაც კალათაში წევს და მაღლა ღრუბლებში დასეირნობს.

აი თურმე საქმე როგორ ყოფილა. იმ ქალაქში, სადაც ეს ამბავი მოხდა, რაღაც დიდის დღესასწაულისათვის ემზადებოდნენ თურმე. სადღესასწაულოდ მოემზადებინათ აგრეთვე ჰაეროსტატი, რომელიც ერთს ბაღში იყო დაბმული. იმ ბოროტ კაცებს თურმე აქ მოეყვანათ გულ-წასული ქალი, ჩაესვათ კალათაში, აეხსნათ ჰაეროსტატი და მიეშვათ ღვთის ანაბრობაზე.

როგორ ეშველა საწყალ ქალს თავის თავისთვის? გაეგონა, რომ ჰაეროსტატს ხუფი აქვს ჰაერის გამოსაშვებადაო. დაუწყო თოკს ძებნა, უნდოდა ხუფი აეხადნა, რომ ჰაეროსტატი ცოტად დაესულებინა და ამით დამძიმებულიყო და ძირს დაშვებულიყო, მაგრამ სად იყო თოკი. თურმე ნუ იტყვით იმ ულმერთოებს ესეც წინადვე ეფიქრებინათ და ხუფისთვის თოკი მოეჭრათ. მალე ჰაეროსტატი ისეთ სიმაღლეზე ავიდა, სადაც ადამიანს სულის მობრუნება აღარ შეუძლიან, საწყალს ქალს სული შეუგუბდა და დაიხრჩო.

⁂

მეორე, უფრო საზარელს, ამბავს მოგვითხრობს ერთი საფრანგეთის მწერალი მენიე. ეს ამბავი ამ ერთის წლის წინად მოხდა. ერთს დღეს ჰაეროსტატში, რომელსაც სახელად „ფენიქსი“ ერქვა, ჩაჯდა სამი კაცი: გრეგორი, ალბერტი და მენიე და გაუდგნენ გზასა ჰაერში. აქ სჯობს სიტყვა თვით მენიეს დავუთმოთ. მენიე თვით იყო მნახველი და ამიტომ თითონ უფრო უკეთ გვიამბობს.

„ფენიქსი“ დაიძრა დედა-მიწიდამ და წავედით ზევით. გადმოვიხედე ძირს და ისე მეჩვენა, თითქოს დედა-მიწა გაჰსკდა და სახლები, ხალხი, ხეები სულ თან ჩაიტანაო. ერთს წამს მომესმა მხოლოდ ტაშის კვრა და ხალხის ყვირილი და მერე კი უცბად ყველაფერი მიჩუმდა,—მესმოდა მხოლოდ ყრუდ რაღაც გუგუნი და გრიალი. ჩემს თავს კარგადა ვგრძნობდი, თავს-ბრუ არ მეხვეოდა.

— რა სიმაღლეზე ვართ?—ვკითხე გრეგორს. გრეგორმა დაჰხედა ბარომეტრს *) და მიპასუხა:

---

*) ბარომეტრი ერთ-გვარი იარაღია, რომლის შემწეობით კაცს შეუძლიან, სხვათა შორის, შეიტყოს ადგილის რომელისამე სიმაღლეცა.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

პოლიტიკა, ომის ამბები, ბისმარკი, ბულანჟე, და ყველა ამათი დამაგვირგვინებელი ბოლგარია, ეს ახირებული ბოლგარია, ეს მთელის ევროპის ამღვრევი და ამწეწი! როდის მორჩება ყველა ამაზე ყაყანი, როდის დაიწმინდება, დაილევება ამღვრეული მდინარე ევროპის ცხოვრებისა, როდის მოეღება ბოლო ამ გაუთავებელ საქმეს, როდემდინ და რას უნდა ველოდდეთ?.. ღმერთმანი რომ ჭკვიანურ რჩევას იძლევა ერთი ფრანგული გაზეთი.

> თავი და თავი დღევანდელი მიზეზი არეულობისა მაინც ბოლგარიააო, — ამბობს გაზეთი. ბოლგარიის საქმე რომ როგორმე გადასწყდეს, ევროპა დამშვიდდება და მოისვენებს. მაგრამ საქმეც ის არის, რომ ამ საქმისათვის ვერა უშველიათ-რა, აი თვით ბისმარკსაც ვერა გაუწყვია-რაო.

ამიტომ გაზეთი სხვა ღონისძიებას უჩვენებს ამ საქმის გარდასაწყვეტად.

> რადგან დღეს რამდენიმე კანდიდატია ბოლგარიის ტახტის დასაჭერად, ყველანი ერთმანეთს ეცილებიან და ერთი მეორეს არ უთმობს, ამიტომაო, — ამბობს გაზეთი, ჩვენ ვურჩევთ: ყველა კანდიდატებმა წილი იყარონ. ვისაც წილად ერგება, ის დაიჭერს გამოჩენილ „სლივნიცის გმირის“ ალაგს, სრულიად დაამხობს „ბატენბერგიას“ და როგორმე ბოლოს მოუღებს ამ არეულობას, რომელმაც ყველას თავი მოაძულა.

კარგი რჩევაა სწორედ! მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ საპოლიტიკო საქმეებში გაზეთების რჩევას და სიტყვას ყურადღებას არ აქცევენ!

⁂

გერმანიაში საქმე იქამდინ მივიდა, რომ მოსწავლე ყმაწვილებს გიმნაზიელებსაც კი პოლიტიკის საქმეებში ურევენ ბისმარკის ერთგულნი თანამებრძოლნი არა ღონეს არა ჰზოგავენ, ოღონდ სამხედრო კანონ-პროექტმა გაიმარჯვოს. აი, მაგალითად, ბერლინის ერთს გიმნაზიაში მასწავლებელს მიუცია მე-4 კლასის შეგირდებისათვის ლათინურ ენაზე გადასათარგმნელად ერთი წერილი, რომელსაც ვითომ ერთი გიმნაზიელი მეორესა სწერს. აი თვით წერილიც:

> „ამ დღეებში ჩვენ თითონ გვყავით მოწამენი იმ უმადურობისა და უსამართლობისა, რომელიც ჩვენთა თანამედროვეთ ჩაიდინეს სახელოვან მამამულეთა მიმართ. თვალდ ბისმარკს, რომელსაც, როგორც ყველამ კარგად ვიცით, დიდი სარგებლობა მოაქვს გერმანიისათვის, დიდი სამსახური მიუძღვის სამშობლოს წინაშე, — ბისმარკს პარლამენტში უარი უთხრეს და არ დაუმტკიცეს სამხედრო კანონ-პროექტი. მაგრამ ხელმწიფე იმპერატორი ისეთს პატივსა სცემს ბისმარკს, რომ ხელმწიფემ საჭიროდ დაინახა, პარლამენტი დაეშალა და დეპუტატები დაეთხოვა. ბისმარკმა თავის მოპირის-პირედ არც ხვეწნა, არც თხოვნა არ დაუწყო, რომ უთუოდ დამეთანხმენითო. ამით ერთხელ კიდევ დაამტკიცა ბისმარკმა, რომ მართლა რკინასავით მაგარი ხასიათი აქვს. მე მაინც ვერ ვუსაყვედურებ, რომ ბისმარკი ასე უკადრისად მოეპყრო რეიხსტაგს. შენ, რასაკვირველია, გეცოდინება გაზეთებიდამ დღევანდელი გაჭირებული მდგომარეობა: აგერ საფრანგეთი ხმალსა ჰლესავს კიდევ ჩვენ წინააღმდეგ. იქ ისინი ერთმანეთს ჰლანძღავენ და ჩვენ ვითომ თვალებს გვიხვევენ, მაგრამ ცხადადა სჩანს, რომ იმათ ჰშურთ ჩვენი სიძლიერე და დიდის სიამოვნებით დაიწყებდნენ ომსა, ძალა რომ მოსდევდეთ. ამ გვარ ამბებით ისე ვარ აღელვებული, რომ სწავლისთვის გულ-დინჯად ხელი ველარ მომიკიდნია. შემატყობინე, რას ლაპარაკობენ მაგ თქვენს ქალაქში? ახალი რა ისმის?

საუცხოვოა! არა ჰგვანებიან გერმანიის გიმნაზიელები ჩვენებს! ხომ ჰხედავთ, ბატონებო, ბერლინის გიმნაზიებში მე-4 კლასის შეგირდები გაზეთებსაც კითხულობენ, პოლიტიკაც დაწვრილებით იციან და ბისმარკსაც დიდს პატივსა სცემენ! გიხაროდეთ პედაგოგებო, ყმაწვილების აღმზრდელნო! თქვენი ცდა და შრომა უქმად არ ჩაივლის, ნაყოფს მალე მოიტანს. საბრალო ყმაწვილები! ვაი ამათი ბრალი ამ გვარ პედაგოგების ხელში! ვითომ მარტო ბერლინში არიან ასეთი პედაგოგები?!.

რუსეთი

— წარსულ 1886 წლის განმავლობაში რუსეთში ოქროსი, ვერცხლისა და სპილენძის ფული სულ 20,817,000 მანეთისა მოუჭრიათ. 1885 წ. 7,334,000 მანეთით უფრო მეტი მოუჭრიათ. შარშან მხოლოდ ოქროს ფული მოუჭრიათ ცოტა და ვერცხლის ფული კი უფრო მეტი მოუჭრიათ, ვიდრე 1885 წ. სპილენძის ფული შარშანაც იმდენივე მოუჭრიათ, რამდენიც შარშანწინ.

— რუსეთში ხმა გავრცელებიათ, ვითომ მთავრობას განზრახვა აქვს ახალი ხარჯი დაწესოსო. ამ ხარჯით სულზე თითო-თითო მანეთი უნდა გადასხდეთ ყველას, როგორც გლეხებს, აგრეთვე თავადაზნაურთაო.

— კიევის საეკლესიო-საარხეოლოგიო მუზეუმიდგან მოუპარავთ ბევრი ოქროსი და ვერცხლის ძველი ფულები, რომელიც ძალიან იშვიათად იშოვება. ოქროს ფული სულ 20 ცალამდე ყოფილა; ვერცხლისა-კი ძალიან ბევრი. მაგალითებრ, აქ ყოფილა ძველი ფული სპარსეთისა, მაკედონიისა, სირიისა, რომისა, ბიზანტიისა და სხვა ძველ სახელმწიფოებისა. დაკარგულა აგრეთვე ძველი ფულები ევროპიის სახელმწიფოებისა. ამ ძველის ფულების დაკარგვა მეცნიერებისათვის, რასაკვირველია, დიდი დანაკლისია.

— ოდესის სამხედრო სასამართლომ ამ მოკლე ხანში განიხილა დიდი საქმე პოდპოლკოვნიკის გრანკეკის მოკვლისა. უმთავრესთ ბრალდებულთ ჯარისკაცთ რიაბოვს, მარსკოვს და შტერკს სასამართლომ თოფით დახვრეტა გადაუწყვიტა.

უცხოეთი

ეგვიპტე. ეგვიპტის საქმე, როგორც ვიცით, ჯერ სრულიად გარდაწყვეტილი და დაბოლოებული არ არის. ოთხივ-კუთხივ აულაგლაგდნენ ინგლისს, რომ ეგვიპტიდგან შენი ჯარები გამოიყვანე და განთავისუფლე ეგ ქვეყანა ჯარების ჩაყენებისაგანაო. ინგლისი აქამდე უარს იყო და მიზეზად იმას იდებდა, რომ ეგვიპტეში ჯერ კიდევ სრულიად არ არის წესიერება და მშვიდობიანობა ჩამოგდებული და იქიდგან ჯარების გამოყვანა შეუძლებელიაო. ამ ბოლოს დროს ინგლისმა თავისი აგენტი სერ დრუმონდ ვოლფი გაგზავნა სტამბოლში ოსმალეთთან მოსალაპარაკებლად და ეგვიპტის საქმის დასაბოლოვებლად. აი „Journal des Debats“-ის აზრით, როგორ უფრო სასურველია ინგლისისათვის, რომ ეგვიპტის საქმე გარდასწყდეს და დაბოლოვდეს: ეგვიპტეს თვით-მართველობის ნება მიეცეს, ხოლო ამ ქვეყანამ ისევ უნდა გადაუხადოს ოსმალეთს ის წლიური ხარკი, რომელსაც ამ ჟამად იხდის. ამის გარდა აი რა პირობებით სურს ინგლისს ეგვიპტის განთავისუფლება: 1) ინგლისის სამხედრო გემებს [illegible] ნება უნდა ჰქონდეთ, რომ სუეცის არხზედ დაუბრკოლებლივ იარონ; 2) ესევე უფლება უნდა ჰქონდეს მინიჭებული ინგლისის ჯარსავე ხმელეთზედ; და 3) ინგლისს უნდა მიენიჭოს უფლება, რომ კვლავ ჩააყენოს ეგვიპტეში თავისი ჯარები, თუ ვინიცობაა ამ ქვეყანაში ხელახლად რამე უწესოება და ამბოხება ატყდა. ეგვიპტის ჯარებში ეგვიპტელთა გარდა ინგლისის აფიცრებიც უნდა ჰმსახურობდნენ. ინგლისი მხოლოდ მაშინ გამოიყვანს თავის ჯარებს ეგვიპტიდგან, როცა ამ პირობათა ევროპის ყველა დიდი სახელმწიფონი ერთ-ხმად მიიღებენ და თანახმანი გახდებიანო. ოსმალეთს უთხოვნია, დრო მომეცი მოსაფიქრებლადაო და ამიტომ ოსმალეთის პოლიტიკურს წრეებში ამბობენ, რომ ეგვიპტის საქმის გადაწყვეტა ჯერ კიდევ დიდხანს გასტანს, რადგან ოსმალეთისათვის უფრო სასარგებლოა, რომ ეგვიპტის საქმის გარდაწყვეტა გაჭიანურდეს და გაგრძელდესო.

— „რეიტერის სააგენტო“-ს დეპეშით აუწყებენ სტამბოლიდგან, რომ სერ დრუმონდ ვოლფისა, ქიამილ-ფაშასა და საიდ-ფაშას შორის მოლაპარაკება ეგვიპტის საქმის გამო 14 თებერვალზე ადრე არ დაიწყებაო.

გასართობი

ხაყვარული ერთის ბერ მონაზონისა. პარიზში გარდაიცვალა ამას წინად ერთი ბერ-მონაზონი, მამა ათანასე, ერის კაცობაში მარკიზი აკკარამბონი. ეს ბერი დაიბადა რომში 1807 წელს. ყმაწვილობა სწავლაში გაატარა: გულ-მოდგინედ სწავლობდა მეცნიერებასა და ხელოვნებას. ახალგაზრდა მარკიზი მშვენიერი თვალ-ტანადი კაცი იყო, ამასთანავე ფრიად ჭკვიანი და ხელოვანი მემუსიკე. მაღალ საზოგადოებაში ყველგან მიღებული და სასიამოვნო სტუმა-

---

— ჯერ შორს არ წავსულვართ, სულ ნახევარ ვერსტის სიმაღლეზე ვართ.

— როგორც ვატყობ სულ წინ მივდივართ?

— დიახ, ქარიეთ მივფრინავთ, — სიცილით მითხრა გრეგორმა.

მართლა და ქალაქს კარგად გავშორდით, თუმცა სრულიად ვერა ვგრძნობდით, თუ მივდიოდით: ისე მეჩვენებოდა, თითქოს „ფენიქსი“ უძრავად დგას ერთს ალაგასაო.

გავიარეთ რამდენიმე სოფელი. აი ერთ პატარა ქალაქსაც მივადექით. ხალხი გამოფენილიყო და ყველა ჩვენ შემოგვყურებდა.

— რა კარგია, როცა ესე ზემოდამ დაჰყურებ! განა გრეგორი! — ჰკითხა ალბერტმა.

— ოჰ, საუცხოვო რამ არის, — უპასუხა გრეგორიმ და თავ-მომწონედ შეჰხედა თავის „ფენიქსს“, რომელიც ღვიძლის შვილივით უყვარდა.

მივდიოდით სულ წინ და წინ. დავხედე ბარომეტრს და ცოტა არ იყოს შიშმა ამიტანა: თითქმის სამის ვერსტის სიმაღლეზე ავსულიყავით და მაინც ისევ დასავლეთისაკენ მივდიოდით.

— შიში ხომ არაფრისაა მეთქი? — ვკითხე გრეგორის.

— რის შიში გგონია?

— იმისი, რომ აი სულ დასავლეთისკენ მივდივართ და დასავლეთისკენ კი დიდი ზღვაა.

— ფიქრი ნურაფრისა გაქვთ, ზღვა ჯერ შორს არისო.

მართლა და გრეგორს როგორ არა ვენდობოდით. გრეგორს, მგონი, ორჯელ მაინც უვლია თავის ჰაეროსტატით და როგორ არ ეცოდინებოდა, სად ვიყავით. მაგრამ აი ამ დროს ალბერტმა დაგვიძახა:

— ცოტა ძირს დაუშვით, ძირს დაუშვით ჰაეროსტატი, როგორღაც ყურები მიბჟუისო.

დავწიეთ თოკს, ხუფი ავხადეთ, ცოტა დავსულეთ და ჩვენმა „ფენიქსმა“ ძირს დაიწია. გამოვედით ღრუბლებიდამ და რა დავინახეთ: ჩვენ ქვემოდ გადაიშალა უზარ-მაზარი, თვალ-გადუწვდენელი ზღვა. ხმელეთი არსადა ჩანდა. მზე სრულიად გადახრილიყო და ის-ის იყო ჩასვლას აპირებდა. ზღვის ზვირთები აგორავებულიყვნენ, გრიალებდნენ და აქაფებულნი თეთრს ქაფს იგდებდნენ ზემოდამ. სურათი ისეთი საუცხოვო იყო, რომ მე აღტაცებაში მოვედი. ჩემს დღეში მე ამისთანა არა მენახა-რა და არასოდესაც არ დამავიწყდება ეს საუცხოვო სანახავი.

— დრო არ არის, ბატონებო, შინ დავბრუნდეთ? — რაღაც აღტაცებით ვეკითხებოდი ჩემს ამხანაგებს.

— გრეგორმა ხმა არ გამცა. მე რაღაც ნეტარებაში ვიყავი და გრეგორის დუმილს სრულიად ყური არ ვათხოვე. ჩვენი „ფენიქსი“ ცოტა ხანს ზემოდ ასულიყო და მერე ერთბაშად ისევ უკან დაეშო თურმე. მე ვერ მივხვდარიყავ, რა უბედურებასა და განსაცდელში ჩავცვივნულიყავით, ალბერტს რომ არ დაეყვირა უცბად.

— დავიღუპენითო!

მაშინ სამივენი გადავეყუდეთ კალათას და დავრწმუნდით, რომ ზღვა მართლა საფლავს გვიმზადებდა. ზვირთების საზარელი, გულ-საკლავი გუგუნი ისე მოგვესმოდა, თითქოს გლოვის ზარიაო.

— ვიღუპებით! ჰაეროსტატი დაცარიელებულა! მიშველეთ ჩქარა, რაც მეტი ბარგი გვაქვს გადავყაროთ, და იმით შევამსუბუქოთ ჰაეროსტატი, რომ ისევ მაღლა წავიდესო.

არც ამან გვიშველა. „ფენიქსმა“ მართალია ცოტა მაღლა აიწია, მაგრამ მერე ისევ ერთბაშად ძირს დაეშო.

ამ დროს შევხედე გრეგორს, და შიშის ზარმა ამიტანა, — სახე გაწითლებოდა და თვალებში სისხლი მოჰრეოდა.

— რა დაგემართა, ჩემო მეგობარო? ვკითხე გრეგორს

— თქვენ მე მომენდეთ! მე უნდა გაგფთხილებოდით და აი, ამის მაგიერ, მე კი თქვენ საფლავი გაგითხარეთ.

საწყალმა გრეგორმა სახეზე ხელი მიიფარა, გული ამოუჯდა და ხმა მაღლა საშინელს ტირილს მოჰყვა.

ალბერტიც ტიროდა. ხმა ველარავის ამოგვეღო, სამივენი ჩუმად ვისხედით. ან კი ლაპარაკისათვის ვილასა სცხელოდა, სიკვდილი თვალ-წინ გვედგა და ჩვენ კი გვსუროდა გვეცოცხლა. გრეგორი თავისთვის იჯდა და ჩუმად ბუტბუტებდა: „საწყალო ჩემო «ფენიქსო»!“

უბედურს თავის თავი ხომ არ ენანებოდა, ამისთვის „ფენიქსი“ სიცოცხლეზედაც ძვირფასი იყო.

„ფენიქსი“ უფრო დაბლა და დაბლა ჩამოდიოდა. აი კალათა ზღვაში ჩაეშო. ყველამ ერთბაშად რაღაც საზარლის ხმით შევყვირეთ, ალბერტი უცბად თოკებს ეცა და კატასავით მარდად აცოცდა ზედა. ახლა კი ყველამ ჭკუა დავკარგეთ. ჩვენი ყვირილი საცოდაობით ქვებსაც კი შესძრავდა. მაგრამ ვინ იყო მშველელი, მხოლოდ ზღვა თავისებურად მრისხანებდა და თავის ხმაურობით სრულიად ჰფარავდა ჩვენს ხმას. ჩვენს „ფენიქსს“ ქარი უბერავდა და იალქნებ აშვებულ ხომალდივით მიაფრენდა ზღვაზე. კალათა ხან სრულიად დაიმალებოდა ხოლმე წყალში და ხან ისევ უკან თავს ამოჰყოფდა. ჩვენ თოკისთვის მაგრა გვეკიდა ხელი და თან ავდევდით და ჩავდევდით. სიცივემ, წყალმა სრულიად გაგვიშეშა ხელები. მაგრამ სულს ტკბილია და თოკებს მაინც მაგრა ვეჭიდებოდით.

აი მთვარემაც ამოანათა და მოჰფინა ზღვას თავის მკრთალი ნათელი. ჩვენ აქ სიკვდილს ვებრძოდით და ღამის მშვენებელი კი გულ-გრილად დაგვყურებდა ზემოდამ.

ამ დროს ერთბაშად რაღაც საზარელი ხარხარი მომესმა. შევხედე, — გრეგორი იცინის.

— რა დაგემართა, გრეგორი? — შევყვირე მე შეშინებულმა.

გრეგორი ჭკუაზე შეშლილივით შემომყურებდა და ხარხარებდა. ხელში დიდი გალესილი დანა ეჭირა.

— გრეგორი!! — უფრო საზარლად შევყვირე.

გრეგორმა პასუხი არ მომცა. ერთბაშად წამოვარდა, გამხეცებული მომვარდა და უნდა მოვეკალ. თუმცა სულ ორი-სამი წამი სიცოცხლე-ღა დამრჩომოდა, მაგრამ მაინც არ მინდოდა, წუთი-სოფელს გამოვსალმებოდი ამ სამის წუთის წინადაც. მეც გაშმაგებული ვეცი გრეგორს. აგვიტყდა საშინელი ბრძოლა. ორივენი წყალში ჩავდიოდით და ამოვდიოდით. მაინც რაც ძალი და ღონე მქონდა, გრეგორს წავეჭიდე, ხელი გადაუგრიხე და დანა დავაგდებინე. მაშინ გაავთრებულმა გრეგორმა მე თავი დამანება, წასწვდა საწყალს ალბერტს ფეხში, და ორივემ წყალში ბარტყანი მოიღეს...

რა მოხდა მერე ბინდ-ბუნდად და მახსოვს. ორი კაცი რომ მიჰშორდა, „ფენიქსი“ ცოტად დამსუბუქდა, მაღლა წავიდა და მეც თან წამიღო:

დილა ადრიანი იყო. ის იყო მზეს ამოეშუქებინა. მე ზღვის პირას ქვიშაზე ვეგდე გარს მეთევზეები შემოხვეოდნენ. „ფენიქსიც“ აქვე ჩემს გვერდს ეგდო. ჩემი ამხანაგები დაღუპულიყვნენ. ნუ თუ მე კი გადავრჩენილვარ? რაღა თქმა უნდა, თორემ უამისოდ როგორ გიამბობდით ყველა ამას“...

—

აი რამდენი უბედურება და განსაცდელი გამოიარეს, რამდენმა შესწირეს თავიანთი სიცოცხლე ამ ჰაეროსტატის საქმეს. შეიძლება, კიდევ ბევრი მსხვერპლი შეიწიროს, მაგრამ იმაში კი ეჭვი არ არის, რომ ადრე თუ გვიან კაცობრიობა გაიმარჯვებს და ეს გამარჯვება ერთი უდიდესი, სასიქადულო გამარჯვება იქნება მეცნიერებისა. როდესაც ეს გამარჯვება მოხდება, მაშინ აღარც წყალი, აღარც კლდე და ღრე ადამიანს წინ არ ჩაეხიდება, არ აეყუდება. აღარც მთების გათხრა და გარღვევა, აღარც გზების გასწორება, აღარც რკინის გზის ლიანდაგის გაკეთება საჭირო აღარ იქნება. ერთის სიტყვით, ერთის ადგილიდგან აჰფრინდები და გადაჰფრინდები მეორე ადგილას. მოვა ეს დრო და, ვგონებთ, შორსაც აღარ იყოს!

დონ-იაგო

რი იყო. ბედნიერს ყმაწვილს-კაცს საშინელი უბედურება დაატყდა თავს. ამ უბედურების გამო ყმაწვილმა კაცმა ხელი აიღო წუთის-სოფელზე და მონასტერს შეეკედლა. ყმაწვილს კაცს მეტის-მეტად შეუყვარდა ახალ-გაზდა ქალი, რომლის დედ-მამაც, თუმცა პატიოსანი ხალხი იყო, მაგრამ გვარი და ჩამომავლობა-კი დაბალი ჰქონდა. ქალსაც გაგიჟებით შეუყვარდა ყმაწვილი კაცი, მაგრამ ახალ-გაზდა მარკიზის დედ-მამამ ძალიან შორს დაიჭირა საქმე და გამოუცხადა შვილს, რომ თქვენი ჯვარის-წერა ყოვლად შეუძლებელია, ერთმანერთს არ შეეფერებით და ამიტომ მაგისთანა ქორწინება ბედნიერებას ვერ მოგანიჭებსო. მარკიზმა იცოდა თავის დედ-მამის ხასიათი, იცოდა, რომ ისინი თავისას არ დაიშლიდნენ, ამიტომ ტრფიალი და უკან დევნა აღარ დაუწყო საყვარელს ქალს, რომ სახელი არ გაუტეხდესო და გადასწყვიტა, მოველაპარაკები, ყველაფერს აუხსნი და გავშორდები სამუდამოდაო. ამ აზრით, იშოვა ბილეთი იმ წვეულობაში დასასწრებლად, საცა იცოდა, რომ ის ქალიც უნდა ყოფილიყო და იმ წვეულებაზე გამოუცხადა ყველაფერი. ქალი ისე შეწუხდა და გამწარდა, რომ გონება დაჰკარგა და ვეღარა უთხრა-რა საწინააღმდეგოდ. მხოლოდ ორიოდე სიტყვა ძლივს წარმოსთქვა: „როგორ, მაშ ნუ თუ თავს დამანებებ?“ ამაზე კაცმა პასუხი არ მისცა. არ უნდოდა, რომ დიდხანს გაბმულიყო ასეთი გულისა და სულის შემხუთველი ლაპარაკი. ყმაწვილმა კაცმა აიღო ქუდი, გამოვიდა დარბაზიდამ და გაემართა თავის სახლისკენ. გამოვიდა ქუჩაზე და საშინელი სანახავი-კი წარმოუდგა თვალ-წინ: ქუჩაზე ეგდო უსულო და გასისხლიანებული გვამი იმის საყვარელის ქალისა, რომელიც აივანიდამ გადმოვარდნილიყო, წამოსულიყო თუ არა ყმაწვილი კაცი. ამ ამბავმა ისეთი თავ-ზარი დაჰსცა მარკიზს, რომ გადასწყვიტა, ყოველივე კავშირი გაეწყვიტნა წუთის-სოფელთან და შედგა ბერად წმ. ბასილის მონასტერში, მაგრამ აქაც მოსვენებას არ აძლევდა აჩრდილი საყვარელის ქალისა. თავ-დავიწყებისათვის შეუდგა ღვთის-მეტყველების სწავლასა, მშვენივრად დაიჭირა ეგზამენი ხუთის კარდინალის თანადასწრებით და მიიღო ხარისხი თეოლოგიის დოქტორობისა, ამის გამო მ. ათანასეს ჩააბარეს გროტნიატის წიგნთსაცავის უფროსობა და შემდეგ ჩააბარეს სემენარია ამავე მონასტრისა. 1880 წელს პარმაში მღვდლად ამოირჩიეს. აქ მამა ათანასემ დანარჩენი თვისნი დღენი სამადლო და კეთილ საქმეს შესწირა. მის სიკვდილს მთელი მრევლი მწუხარებითა ჰგლოვობდა.

* *

იმპერატორის ვილჰელმის ხუმრობა. იმპერატორს ვილჰელმს ლაპარაკი ჰქონდა ერთს შტაბ-აფიცერთან, რომელიც რაღაც საქმისათვის იყო გაგზავნილი ბერლინში. სხვათა შორის ლაპარაკი ჩამოვარდა ერთს დამსახურებულს მოხუცებულს გენერალზედაც.

— დიაღ, კარგი გენერალიაო, სთქვა იმპერატორმა,—ეს მართალია; მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ცხენზედ ჯდომა აღარ შეუძლიანო.

იმპერატორი ცოტას ხანს გაჩუმდა და მერე ღიმილით უთხრა აფიცერს ყურში:

— თითონ მეც ხომ აღარ შემიძლიან ცხენზედ ჯდომა, და უნდა-კი გამოგიტყდეთ, მე რომ უბრალო გენერალი ვიყო, აქამდე ათასჯერ დამითხოვდნენ სამსახურიდამაო.

დეპეშა

9 თებერვალი

დარმშტადტი. პრინცი ალექსანდრე ბატენბერგი დაბრუნდა გუშინ საზღვარ-გარეთიდამ. ახლა ციებით ავად არის.

სტამბოლი. რეიტერის სააგენტოს დეპეშით იწერება: გუშინ და დღეს თათბირი ჰქონდათ დიდს ვეზირს და ბოლგარიის დელეგატებს: დელეგატებმა გამოუგზავნეს სოფიის სარეგენტო მთავრობას ოსმალეთის ახალი წინადადება. ცანკოვი და დელეგატები კიდევ რამდენსამე ხანს დარჩებიან სტამბოლში.

ბერლინი. დღეს დაიწყო რეიხსტაგის დეპუტატების არჩევანი; ქალაქში ყოველგან მშვიდობიანობაა, ხოლო მუშა-ხალხმა აავსო ქუჩები და მიეშურება საარჩევნოდ დანიშნულ კენჭის ყრაზედ დასასწრობად.

10 თებერვალი

პეტერბურგი. დანიშნული იქმნენ: ვიატკის გუბერნატორი ვოლკოვი, პენზის გუბერნატორათ; ტომსკის გუბერნატორი ანისინი ვიატკის გუბერნატორათ; პეტრაკოვსკის გუბერნატორი ზინოვიევი—ტულის გუბერნატორათ.

ბერლინი. ბერლინში ამორჩეული იქმნენ რეიხსტაგში საციალისტები ზინგერი და გაზენკლევერი; დანარჩენ ოთხს ბერლინის საარჩევნო ნაწილში ხელ-ახლად არჩევანი ხელ-ახლად უნდა მოხდეს. პროვინციიდამაც ამბავი 71 საარჩევნო ნაწილიდამ მოვიდა, ამ რიცხვიდამ 22-ში ხელ-ახლად არჩევანი უნდა მოხდეს. ყველაზედ მომატებულად არჩეულნი არიან ნაციონალ-ლიბერალები და საციალისტები. საზოგადოდ, სად რომელი დასი გაიმარჯვებს ჯერ გამორკვეული არ არის, ხოლო ელზას-ლოტარინგიაში ამორჩეული იქმნენ ისინი, ვინც ელზას-ლოტარინგიის შეერთებას გერმანიასთან უარ-ჰყოფენ.

პეტერბურგის ბირჟა, 9-ს თებერვალს

ფ ა ს ე ბ ი:

	მსყიდველისა	გამსყიდველისა	გაყიდულისა
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	— ›	— ›	9 9
ტამოჟნის კუპონები . .	— ›	— ›	176½
5% პირველის შინარის სესხმის მომგები ბილეთი	— ›	— ›	232½
— მეორისა	— ›	— ›	103¼
გირავნობის ფურცელნი:			
ტფილისის ბანკისა. . .	— ›	97¾	— ›
ქუთაისის ბანკისა . . .	— ›	97¾	— ›
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა.	— ›	85¾	— ›

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ (1887) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

დიდმარხვა—16 თებერვალს, აღდგომა—5 აპრილს, ამაღლება 14 მაისს, სულის წმინდის მოსვლა 24, 25, პეტრე-პავლე,ს მარხვა 1 ივნისს. ეს მარხვა 1887 წელს 4 კვირით არის.

თებერვალი 28 დღით არის

11 დღე ოთხშაბათი. მოწ. ეპისკ.ვლასისა. კათოლ. ევფოსინისა და ლუციანასი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. 1-ლი რიცხვი თვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13. ტფილისში მზე ამოდის 6—44, ჩადის 5—43. დაბადება მთვარისა დილის 12 საათსა და 44 წუთზედ.

გამოსადევი ცნობანი

ნიხრი

1 თებერვლიდამ 1 მარტამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ
წითელი პური 1-ის ხარისხისა .	3
› 2 ›	2½ ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	5 ›
› › 2—	3½ ›
› › 3 ›	3 ›
ჭვავის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა . .	5 ›
მე-2 ხარისხისა . .	4 ›
მე-3 — . . .	3½ ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	8 ›
› 2 ›	7 ›
სუკი. . . .	14 ›
ცხვრის ხორცი . . .	9 ›
ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა.	8 ›
› 2 ›	7 ›

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით საშუადღევოს 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამასას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით, იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაც გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭიროა ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანაოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

სტანციები	მოდის		გადის		სტანციები	მოდის		გადის	
	საათ.	წამი.	საათ.	წამი.		საათ.	წამი.	საათ.	წამი.
	დ ი ლ ი თ					დ ი ლ ი თ			
ტფილისი .	—	—	8	49	ბათუმი . .	—	—	8	4
ავჭალა. . .	9	9	9	11	ქობულეთი .	8	54	8	57
მცხეთა. . .	9	32	9	40	ნატანები . .	9	25	9	29
ქსანი . . .	10	3	10	05	სუფსა . . .	9	55	10	2
კასპი. . . .	10	33	10	36	ლანჩხუთი .	10	35	10	39
გრაკალი . .	10	59	11	1	ნიგოითი . .	10	51	10	53
გორი . . .	11	25	11	40	საჯავახო, .	11	14	11	16
ქარელი . .	12	8	12	11	სამტრედია	11	33	11	51
გომი . . .	12	37	12	41	კოპიტნარი .	12	13	12	16
ხაშური . .	1	2	1	17	რიონი . . .	12	47	1	2
სურამი . .	1	29	1	32	აჯამეთი . .	1	15	1	18
ფონი . . .	2	—	2	3	შვირილა .	1	58	2	10
ბეჟათუბანი.	2	56	3	16	ძირულა . .	2	48	2	50
მარელისი .	3	45	3	48	ბელაგორი .	3	17	3	20
ბელაგორი .	4	15	4	18	მარელისი .	3	47	3	49
ძირულა . .	4	45	4	48	ბეჟათუბანი	4	18	4	37
შვირილა. .	5	26	5	40	ფონი . . .	5	30	5	34
აჯამეთი . .	6	14	6	16		ს ა ღ ა მ ო თ ი			
	ს ა ღ ა მ ო თ ი				სურამი. . .	6	2	6	5
რიონი. . .	6	29	6	44	ხაშური . .	6	17	6	32
კოპიტნარი .	7	08	7	10	გომი . . .	6	50	6	54
სამტრედია .	7	29	7	49	ქარელი . .	7	16	7	19
საჯავახო. .	8	5	8	7	გორი . . .	7	44	7	54
ნიგოითი. .	8	27	8	30	გრაკალი . .	8	15	8	17
ლანჩხუთი .	8	42	8	46	კასპი. . . .	8	40	8	43
სუფსა . . .	9	19	9	27	ქსანი . . .	9	7	9	9
ნატანები . .	9	52	9	55	მცხეთა. . .	9	28	9	34
ქობულეთი.	10	22	10	25	ავჭალა. . .	9	52	9	54
ბათუმი . .	11	13	—	—	ტფილისი .	10	15	10	46

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

	დ ღ ი ს ი თ					ღ ა მ ი თ			
ტფილისი .	—	—	3	21	სურამი. . .	—	—	2	59
ავჭალა . .	3	46	3	49	ხაშური . .	3	11	3	27
მცხეთა. . .	4	19	4	25	გომი . . .	3	50	3	55
ქსანი . . .	4	49	4	52	ქარელი . .	4	24	4	31
კასპი . . .	5	24	5	29	გორი . . .	5	4	5	19
გრაკალი . .	6	—	6	3	გრაკალი . .	5	46	5	51
	ს ა ღ ა მ ო თ ი					დ ი ლ ი თ			
გორი . . .	6	31	6	45	კასპი . . .	6	18	6	24
ქარელი . .	7	18	7	24	ქსანი. . .	6	55	6	59
გომი . . .	7	53	8	1	მცხეთა . .	7	24	7	27
ხაშური . .	8	24	8	38	ავჭალა . .	7	55	7	58
სურამი . .	8	50	—	—	ტფილისი .	8	21	—	—

სახელმწიფო განცხადებანი

ტფილისის საგუბერნიო გამგეობა (Тиф. Губерн. правленіе) თავის გარდაწყვეტილების თანახმად დანიშნა თავის სამმართველოში საჯაროდ გასყიდვისათვის უძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნის ნადვორნი სოვეტნიკის ქვრივს სუსანა ივანეს ასულს ილჩენკო-სახლოვსკისას და რომელიც იმყოფება ტფილისის ქალაქის მეოთხე ნაწილში, არლოვსკის ქუჩაზე. ეს ქონება არის ცარიელი მიწა, სივრცით 230 ოთხ-კუთხი საჟენი, 2 ოთხ-კუთხი არშინი და 89 ⁸/₉ ოთხ-კუთხი ვერშოკი. ამ მიწაზედ სდგას ნახევრად დაქცეული ორ-სართულიანი სახლი, რომელიც შესდგება ორის ოთახისაგან. ამ სახლს აქვს პატარა ბაღი. ეს მამული დაფასებულია ორას ორმოცდა-თხუთმეტ თუმნადა და ექვს მანათად (2,556 მან.). ამ ფულით უნდა გადახდილ იქმნას ის ვალი, რომელიც დაედო ილჩენკო-სახლოვსკისას ტფილისის ქალაქის სამეტის ფულისა (Спомогательный Капиталъ). დრო ამ მამულის გასყიდვისათვის დანიშნულია ამა 1887 წელს 4 მაისს, დილის 11 საათზე, ხოლო განმეორებითი ვაჭრობა (переторжка) იქნება სამს დღეს შემდეგ. ვისაცა ჰსურს ამ მამულის ყიდვა, უნდა მოვიდნენ დანიშნულს საგუბერნიო გამგეობის სამმართველოში (Присутствіе Губернскаго Правленія), საცა შეეძლებათ განიხილონ დაწვრილებითი აღწერილობა იმ მამულისა და აგრეთვე ყოველივე ქაღალდი ამ გასყიდვის შესახები. (3—1)

ტფილისის საგუბერნიო გამგეობამ (Тиф. Губернское Правленіе) თავის გარდაწყვეტილების თანახმად, დანიშნა თავისავე სამმართველოში საჯაროდ გასყიდვისათვის უძრავი და გირაოდ ქონილი ქონება, რომელიც ეკუთვნის აზნაურ ლევან საყვარელიძეს ქვრივს და რომელიც იმყოფება ტფილისის ქალაქის მეორე ნაწილში, ლაბორატორიისა და ჰავჰავაძის ქუჩაზედ. ეს უძრავი ქონება არის ერთ-სართულიანი დუქნები, რომელსაც ეკუთვნის მიწა სივრცით 34⅓ ოთხკუთხი საჟენი. ეს მამული დაფასებულია სამას სამოც-და-შვიდ თუმნად და ორ მანათად (3,672 მან.). ამ ფულით უნდა გარდახდილ იქმნას ის სახელმწიფო ვალი, რომელიც დაედო პირობის შეუსრულებლობისათვის მოხე ყაზაროვს. დრო ამ მამულის გასყიდვისათვის დანიშნულია ამა 1887 წელს 4 მაისს, დილის 11 საათზე, ხოლო განმეორებითი ვაჭრობა (переторжка) იქნება სამს დღეს შემდეგ. ვისაც ჰსურს ამ მამულის ყიდვა, უნდა მოვიდეს დანიშნულს დღეს საგუბერნიო გამგეობის სამმართველოში (Присутствіе Губернскаго Правленія), საცა შეეძლება განიხილოს დაწვრილებითი აღწერილობა იმ მამულისა და აგრეთვე ყოველივე ქაღალდი ამ გასყიდვის შესახები. (3—1)

ტფილისის საგუბერნიო გამგეობამ, თავის გარდაწყვეტილების ძალით, დანიშნა საჯაროდ გასასყიდავად თავისავე სამმართველოში უძრავი მამული, რომელიც ეკუთვნის გარდაცვალებულს ტფილისის მოქალაქეს იოსებ ყაზაროვს და რომელიც იმყოფება რეუტოვის შესახვევში, ქალაქ ტფილისის მე-9 ნაწილში. ეს უძრავი მამული არის ერთ-სართულიანი სახლი ფურნით და, მიწა-ეზოთი სულ 45 ოთხკუთხი საჟენია და დაფასებულია 1,800 მანათად იმ სახაზინო ვალის შესავსებლად, რომელიც ირიცხება ყაზაროვზე. ამ მამულის გასყიდვის ვადა დანიშნულია 2 მაისს ამა 1887 წელს, დილის 11 საათზედ. მეორედ ვაჭრობა იქნება სამს დღეს უკან. ამიტომ, ვისაც ჰსურს იყიდოს ეს მამული, უნდა გამოცხადდეს აღნიშნულ ვადაზე საგუბერნიო გამგეობის სამმართველოში, სადაც შეუძლიან ინახოს დაწვრილებითი აღწერილობა ამ მამულისა და ყოველივე ქაღალდები მამულის გასყიდვის შესახებ. (3—3)

Доз. ценз. Тиф. 10 февраля, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე